დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ კოლეჯი აისი
პროგრამა: „მსუბუქი ავტომობილების სავალი ნაწილის შეკეთება“;

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თინათინ ბურძენიძე

წევრები:

სახელი, გვარი : ზვიად ოდიშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) – „მსუბუქი ავტომობილების სავალი ნაწილის შეკეთება“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი აისი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 227770800

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 9 ივლისის № MES 3 26 0000901811 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 17 ივლისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სამუშაო ვიზიტი განახორციელა სსიპ კოლეჯ „აისში“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი).

ვიზიტის მიზანი იყო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შესწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების — „კულინარია“ და „მსუბუქი ავტომობილების სავალი ნაწილების შეკეთება“ — დამატების საკითხთან დაკავშირებით.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან.

დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სივრცეების დათვალიერება, კოლეჯის ბაზაზე. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში არ გამოვლენილა ხარვეზი.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში არ გაცემულა განმავითარებელი რეკომენდაცია.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებაში/ Basic Vocational Qualification in light Vehicle suspension system repair
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N792749; 24/06/2026
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	54

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

სსიპ კოლეჯ „აისის“ გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ განხორციელების შესახებ სათანადოდ არის დასაბუთებული და შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ განვითარების გეგმას (რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N 02-01-101 ბრძანებით და მოიცავს 2020–2027 წლებს).

კოლეჯში მოქმედი, დირექტორის 2019 წლის 19 ივნისის N 118/6 ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა და სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, 2026 წლის 24 ივნისის N 1 26 0000792749 ბრძანებით ოფიციალურად დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა — „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ (განხორციელების ადგილი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი). აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე წინასწარი თანხმობა გაცემულია პროფესიული განათლების დეპარტამენტის მიერ 2026 წლის 16 ივნისის N MES 5 26 0000728384 წერილით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. მისი შემუშავების პროცესი ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას, დამსაქმებელთა მოთხოვნებსა და რეგიონულ საჭიროებებს. კახეთის რეგიონში საავტომობილო პარკისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვნად მატულობს მოთხოვნა კვალიფიციურ სპეციალისტებზე. შედეგად, რეგიონში მოქმედი ავტოსერვისები, სატრანსპორტო კომპანიები და კერძო ტექნიკური მომსახურების ობიექტები მუდმივად საჭიროებენ შესაბამის კადრებს მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური გამართულობის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საბაზო განათლება, რაც უზრუნველყოფს ისეთი პირების ჩარიცხვას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და/ან გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადგენილ ვადებში მისაღწევად.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება „სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით“(დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის N 02-01-187 ბრძანებით, შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2026 წლის 06 მარტის N 277015 ბრძანებით). რომელიც განსაზღვრავს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურულ საკითხს.

საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება მოტივაციური გასაუბრების გზით

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N 02-01-68 ბრძანებით), რომლის საფუძველზეც ხორციელდება პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილების სავალი ნაწილის შეკეთება“ მისაღები კონტინგენტის დადგენა. მოთხოვნილი 30-სტუდენტიანი ზღვრული ოდენობის (ორ ცვლაში) განსაზღვრისას დაწესებულებამ გაითვალისწინა შემდეგი ფაქტორები: ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები, კერძოდ, სავალი ნაწილის შეკეთების თეორიული და პრაქტიკული სწავლების სივრცეების გამტარუნარიანობა, რაც ითვალისწინებს სტუდენტთა ჯგუფების ოპტიმალურ გადანაწილებას ორ ცვლაში და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას; მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რაც გულისხმობს თითოეული სტუდენტისათვის პრაქტიკული სამუშაო ადგილის, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის, ინსტრუმენტებისა და დიაგნოსტიკური საშუალებების ხელმისაწვდომობას; ადამიანური რესურსი, რადგან განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაოდენობა თანხვედრაშია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლების არსებულ რესურსთან; და შრომის ბაზრის საჭიროებები, სადაც გათვალისწინებულია რეგიონული კონტექსტი და საავტომობილო მომსახურების სექტორში კვალიფიციურ სპეციალისტებზე არსებული მზარდი მოთხოვნა.
აღნიშნული რესურსების საფუძველზე განსაზღვრული ზღვრული ოდენობა შეესაბამება პროგრამის ეფექტიანი განხორციელების მიზნებს

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

დაწესებულებაში ფუნქციონირებს „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ (დამტკიცებული სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-71 ბრძანებით, ცვლილება შევიდა სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2023 წლის 10 იანვრის N02-01-03 ბრძანებით), რომელიც არეგულირებს რესურსების გამოყენების პროცესებს. პროგრამის „მსუბუქი ავტომობილების სავალი ნაწილის შეკეთება“ განხორციელებისათვის კოლეჯი იყენებს შესაბამის გარემოს, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, ინსტრუმენტებითა და დიაგნოსტიკური საშუალებებით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში დაცული პროგრამის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ პირობებს.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული არჩევითი მოდული, შესაბამისად, პროგრამის შინაარსი სრულად ეფუძნება სავალდებულო სასწავლო კომპონენტებს.

ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

კოლეჯის წესდების (დამტკიცებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N 118/5 ბრძანებით) შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტური შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულებაში დაცულია პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების შიდა პროცედურები. კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის №MES 1 26 0000792749 ბრძანების საფუძველზე, დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა ლეგიტიმურია და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, დასაქმების სფეროებთან და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის დოკუმენტით განსაზღვრული სწავლის შედეგები შინაარსობრივად შეესაბამება საავტომობილო ტექნიკური მომსახურების სფეროსათვის აუცილებელ პროფესიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებსა და კომპეტენციებს.

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ (0716) შემუშავებულია „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე. პროგრამის ძირითად დოკუმენტში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები, შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, პროგრამის მოცულობა, ხანგრძლივობა, დასაქმების შესაძლებლობები და სხვა აუცილებელი პროგრამული მახასიათებლები. ამასთან, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად და პროფესიულ მოდულებს, სასწავლო გეგმას, მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N 02-01-101 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის „სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020–2027 წლები)“;
- სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2019 წლის 19 ივნისის N 118/6 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის წესდება და სამართლებრივი საფუძვლები“;
- სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის N 1 26 0000792749 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის — „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ დამტკიცების შესახებ“ (განხორციელების ადგილი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული განათლების დეპარტამენტის 2026 წლის 16 ივნისის N MES 5 26 0000728384 წერილი პროგრამის განხორციელებაზე წინასწარი თანხმობის შესახებ;
- სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი (დამტკიცებული სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის N 02-01-187 ბრძანებით, ცვლილებით — 2026 წლის 6 მარტის N 277015 ბრძანება);
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებული დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N 02-01-68 ბრძანებით);
- მატერიალური რესურსების განკარგვის წესი (დამტკიცებული სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N 02-01-71 ბრძანებით, ცვლილებით — 2023 წლის 10 იანვრის N 02-01-03 ბრძანება);
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N 118/5 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის წესდება;
- „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი (0716);
- საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი, რომელიც მოიცავს ძირითად დოკუმენტს, ზოგად და პროფესიულ მოდულებს, სასწავლო გეგმას, მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციას და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
- გასაუბრების შედეგები
- სასწავლო გარემოების დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად იყო წარმოდგენილი დაწესებულების სასწავლო გარემოებში. ვიზიტის ფარგლებში კოლეჯმა ექსპერტთა ჯგუფს დამატებით წარუდგინა შეძენილ რესურსზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი და პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი სრული დოკუმენტაცია, რაც უტყუარად ადასტურებს მატერიალური ბაზის კანონიერ ფლობასა და მზაობას.

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო გარემოები:

- A გარემო (აუდიტორია 104) განთავსებულია 15 მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და დაფა. A გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12-საათიანი / კვირაში 60-საათიანი დატვირთვით.
- B გარემო (აუდიტორია 102) განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, B გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში, დღეში 12-საათიანი / კვირაში 60-საათიანი დატვირთვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- C გარემო: წარმოადგენს კოლეჯის ტერიტორიაზე არსებულ „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ სასწავლო ბაზას, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა დათვალიერებამ ცხადყო, რომ არსებული მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატირი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მონაცემების მიხედვით:

თითოეულ მოდულზე გათვალისწინებულია და დასაქმებულია მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, რისკების პრევენციასა და სასწავლო პროცესის უწყვეტობას.კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ მათმა კვირეულმა დატვირთვამ არ გადააჭარბოს 40 საათს.

ინდიკატირი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული პერსონალის პირადი საქმეებისა და რეზიუმეების შესწავლა ცხადყოფს მათ მაღალ დარგობრივ კომპეტენციას. სპეციფიკური დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ კადრებს გააჩნიათ პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ სფეროში, რაც პირდაპირ კავშირშია სწავლის შედეგების ეფექტურად გამომუშავებასთან. შერჩეულ მასწავლებელთა ნაწილს გავლილი აქვს პროფესიული განათლების მეთოდოლოგიის, მოდულური სწავლებისა და სტუდენტთა შეფასების სისტემების ტრენინგები (დასტურდება სერტიფიკატებით).

სსიპ კოლეჯ „აისში“ პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობის დაწყება, პროფესიული განვითარება და სამსახურებრივი წინსვლა რეგულირდება სსიპ კოლეჯ „აისის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის N02-01-20 ბრძანებით, რომელშიც ბოლო ცვლილება შევიდა 2025 წლის 30 ივნისს)

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალის პირადი საქმეების შემოწმებითა და ანალიზით დადასტურდა, რომ თითოეული მოდულის განმახორციელებელი პირი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობითა და დაწესებულების მოთხოვნებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული ადამიანური რესურსი იძლევა გარანტიას, რომ თითოეული მოდულის პოტენციური შემფასებელი ფლობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების კომპეტენციას.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის შესწავლით. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია სსიპ კოლეჯ „აისის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის N02-01-20 ბრძანებით, რომელშიც ბოლო ცვლილება შევიდა 2025 წლის 30 ივნისს), აგრეთვე ეყრდნობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 მარტის №34/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესსა და პირობებს“.

კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი:

- მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასა და სრულყოფაში;
- წელიწადში ერთხელ და საჭიროების შემთხვევაში ახდენს პროგრამის რევიზიას და წარადგენს დასაბუთებულ მოსაზრებებს მისი მოდიფიცირების საჭიროებისთვის;
- მონაწილეობს ფორმალური განათლების აღიარების პროცესში;
- მონაწილეობს ვერიფიკაციის პროცესში;
- ესწრება მეცადინეობებს კოლეჯსა და კომპანიაში;
- მონაწილეობს პროფესიული სტუდენტების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს გავლილი სხვადასხვა სახის ტრენინგი, იცნობს საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. ის იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მიიღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N 02-01-70 ბრძანებით (რომელშიც ცვლილება შევიდა კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 2 ივნისის N65555 ბრძანებით) დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯ „აისის“ ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია, რომ ბიბლიოთეკა განკუთვნილია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პერსონალის სარგებლობისთვის.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე და აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ინდიკატირი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

სსიპ კოლეჯ „აისის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით; ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 04 მარტის N257377 ბრძანებით) შესაბამისად, დეტალურად არის გაწერილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისა და სასწავლო რესურსების ადაპტირების მექანიზმები.

აღნიშნული წესი ითვალისწინებს სსსმ სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის, მეთოდებისა და დამხმარე რესურსების უზრუნველყოფას. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები, ხოლო ადმინისტრაციასთან და პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯს გააჩნია სრული მზაობა და შესაბამისი რესურსები, საჭიროების შემთხვევაში მყისიერად მოახდინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება სსსმ პირთა საჭიროებების შესაბამისად.

ინდიკატირი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯი იღებს ვაუჩერულ და სუბსიდირებულ დაფინანსებას. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი - 5 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების სახეობებს. შემოსავლების ნაწილში ნაჩვენებია ვაუჩერი და სუბსიდია, ხოლო ხარჯების ნაწილი ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების (ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით), ნედლეულისა და მასალების, ასევე სხვა მიმდინარე ხარჯებს. შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით სრულად არის უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N 02-01-68 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.
- შემენილ რესურსზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი;
- პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- სსიპ კოლეჯ „აისის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის N 02-01-20 ბრძანებით, ბოლო ცვლილება — 2025 წლის 30 ივნისი).
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 16 მარტის №34/ნ ბრძანება „პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების შესახებ“.
- სსიპ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N 02-01-70 ბრძანებით (ცვლილებით — კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 2 ივნისის N 65555 ბრძანება) დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ „აისის“ ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი“.
- სსიპ კოლეჯ „აისის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N 02-01-72 ბრძანებით, ცვლილებით — 2026 წლის 4 მარტის N 257377 ბრძანება).
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) ნიმუშები;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- გასაუბრების/ინტერვიუების შედეგები:
- სასწავლო გარემოების დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

პროგრამის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება უზრუნველყოფილია კოლეჯის მიერ წინასწარ შემუშავებული სისტემატური შეფასების მოდელით და შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მკაფიო სტრატეგიით. კოლეჯში მოქმედებს მყარი სამართლებრივი საფუძვლები ხარისხის კონტროლისთვის, რაც დადასტურებულია სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის №02-01-76 ბრძანებით (ცვლილება შეტანილია დირექტორის 2026 წლის 24 თებერვლის №213675 ბრძანებით) დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“.

კოლეჯში რეგულარულად ტარდება სტუდენტების, თანამშრომლებისა და შრომის ბაზრის წარმომადგენელთა გამოკითხვები, რომელთა ანალიზიც განსაზღვრავს პროგრამების განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს. ავტორიზაციის ვიზიტისას წარმოდგენილი ანგარიშები ადასტურებს კოლეჯის მზადყოფნას, მუდმივად იზრუნოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.

აღსანიშნავია კოლეჯის მიერ საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების წარმატებული გამოცდილება. კოლეჯის ადმინისტრაცია პერიოდულად მონაწილეობს საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში, სადაც სწავლობენ უცხოური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებას. მიღებული ცოდნის საფუძველზე, კოლეჯში უკვე წარმატებით იქნა დანერგილი სხვადასხვა ინოვაციური პრაქტიკა. ამავდროულად, კოლეჯს აქვს დადებითი გამოცდილება დარგობრივი მოწვეული ექსპერტების ჩართულობით ინსტრუქტაჟების განხორციელების, რაც უზრუნველყოფს სწავლების შესაბამისობას თანამედროვე პროფესიულ სტანდარტებთან. ეს მრავალმხრივი მიდგომა ექსპერტთა ჯგუფს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ კოლეჯში არსებული რეგულაციები და აპრობირებული მეთოდოლოგია სრულად უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, კონსისტენტურობასა და ინსტიტუციურ მზაობას პროგრამების ხარისხიანი მართვისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კოლეჯ „აისში“ პროგრამის განხორციელების ხარისხის მართვა ხორციელდება სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის №02-01-76 ბრძანებით (ცვლილება შეტანილია დირექტორის 2026 წლის 24 თებერვლის №213675 ბრძანებით) დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ შესაბამისად. კოლეჯი სისტემატურად აანალიზებს ხარისხის შეფასების შედეგებს, რაც მოიცავს სტუდენტთა, პერსონალისა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის დამუშავებას.

კვლევების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, კოლეჯი ახორციელებს ოპერატიულ და სტრატეგიულ ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და მოდულებში.

კოლეჯის მიერ დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელთან და დარგის ექსპერტებთან ერთად, განიხილავს კვლევების შედეგებს და დირექტორს წარუდგენს დასაბუთებულ წინადადებებს პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ ცვლილებები იყოს შედეგებზე ორიენტირებული და მორგებული შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამასთან, კოლეჯი იყენებს საერთაშორისო სასწავლო ვიზიტების შედეგად მიღებულ გამოცდილებას და მოწვეულ ექსპერტთა რეკომენდაციებს, რათა დანერგოს საუკეთესო პრაქტიკები სასწავლო პროცესში. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაცია (მონიტორინგის ანგარიშები, კითხვარების ანალიზი და ცვლილებათა ოქმები) ადასტურებს, რომ კოლეჯს გააჩნია მყარი ინსტიტუციური მზაობა და აპრობირებული გამოცდილება პროგრამების მუდმივი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის №02-01-76 ბრძანებით (ცვლილება — დირექტორის 2026 წლის 24 თებერვლის №213675 ბრძანება) დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“.
- მონიტორინგის ანგარიშები, კითხვარების ანალიზი და ცვლილებათა ოქმები.
- გასაუბრების/ინტერვიუების შედეგები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომელიც შედგენილია ლოგიკური თანმიმდევრობით. დოკუმენტში დაცულია პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, განსაზღვრულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები და გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასებისათვის საჭირო ვადები. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომელთათვისაც გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდულის გავლა. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი აღნიშნული პროგრამის სასწავლო გეგმა მკაფიოდ სტრუქტურირებული და შინაარსობრივად გამართულია, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატირი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

კოლეჯის თვითშეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, სასწავლო პროცესის ორგანიზება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. დაწესებულება აქტიურად იყენებს დემინგის ციკლის მოდელს, რომლის ფარგლებშიც ტარდება სტუდენტების, პროგრამის ხელმძღვანელების, მასწავლებლებისა და პარტნიორი კომპანიების გამოკითხვები.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ჩატარებული კვლევებისა და გამოკითხვების ნიმუშები, რომელთა ანალიზის შედეგადაც გამოვლენილ საჭიროებებზე კოლეჯმა ოპერატიულად და შესაბამისად განახორციელა რეაგირება. მიღებული შედეგების საფუძველზე, დაწესებულება მუდმივად ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას და მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მუდმივ სრულყოფას.

ინდიკატირი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

სსიპ კოლეჯი „აისი“ უზრუნველყოფს, რომ „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს, რაც ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო გარემო სრულად არის აღჭურვილი პროგრამით გათვალისწინებული დარგობრივი ტექნოლოგიებითა და დანადგარებით. პროგრამის განხორციელება ეფუძნება მრავალფეროვან მეთოდოლოგიას, ხოლო პერსონალის დარგობრივი კომპეტენციები განაპირობებს სტუდენტთა პროფესიული უნარების პრაქტიკულ განვითარებასა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის მომზადებას.

ინდიკატირი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

კოლეჯი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრაციას უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, ასისტენტებისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი სასწავლო პროცესში რთავს ჟესტური ენის თარჯიმანს, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერს, გადაადგილების მხარდამჭერსა და სპეციალურ მომვლელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების საფუძველზე. გეგმის ფარგლებში დამატებითი მეცადინეობებისა და რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციას ინკლუზიური განათლების სპეციალისტი წერილობით აწვდის დირექციას.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში კოლეჯმა ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები, რაც ადასტურებს აღნიშნული პროცედურის პრაქტიკულ რეალიზებას.

ინდიკატირი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ სრულად ხორციელდება სსიპ კოლეჯ „აისის“ ბაზაზე არსებულ იმიტირებულ სასწავლო გარემოში. კოლეჯის ტექნიკური სახელოსნოები სრულად არის აღჭურვილი დარგობრივი სტანდარტების შესაბამისი დანადგარებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც სტუდენტებს უქმნის პირობებს, პრაქტიკული კომპონენტი და კომპეტენციების შეფასება **კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით** განახორციელონ. ვინაიდან პროგრამის პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობს კოლეჯის საკუთარ ბაზაზე და არ საჭიროებს გარე საწარმოში გასვლას, აღნიშნული ინდიკატორი არ მოითხოვს გარე პარტნიორთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ან მემორანდუმს. კოლეჯის არსებული რესურსები სრულად უზრუნველყოფს სწავლების მიზნების მიღწევას და რეალურ სამუშაო პირობებთან მიახლოებულ გარემოში პრაქტიკულ მომზადებას.

ინდიკატირი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

,,ავტომობილების სავალი ნაწილის შეკეთების“ პროგრამა მიმდინარეობს კოლეჯის სპეციალიზებულ ტექნიკურ სახელოსნოებში, სადაც დაცულია ტექნიკური უსაფრთხოების ყველა საჭირო ნორმა. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად შეესაბამება დარგობრივ მოთხოვნებს, რაც გულისხმობს სახელოსნოებში შესაბამისი სახანძრო უსაფრთხოებისა და ელექტროუსაფრთხოების სისტემების არსებობას. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N 02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა“ (ცვლილებით — დირექტორის 2022 წლის 29 აპრილის N 02-01-147 ბრძანება) ადგენს შრომის უსაფრთხოების ნორმებს, რომელიც მოიცავს დოკუმენტს „შრომის უსაფრთხოების ნორმები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის: მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ და განსაზღვრავს პროგრამის უსაფრთხოებისა და პირადი ჰიგიენის წესებს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ინდივიდუალური დაცვის საშუალებებითა და შესაბამისი სპეცტანსაცმლით, ხოლო სასწავლო პროცესამდე ტარდება უსაფრთხოების წესების დეტალური ინსტრუქტაჟი. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დათვალიერებამ ცხადყო, რომ სახელოსნოებში ხელსაწყოებთან გამოკრულია უსაფრთხოების ნიშნები და შექმნილია პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო უსაფრთხო და პრაქტიკაზე ორიენტირებული გარემო, რის საფუძველზეც აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატირი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ სასწავლო გეგმა
- ჩატარებული კვლევებისა და გამოკითხვების ნიმუშები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) ნიმუშები;
- სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N 02-01-76 ბრძანებით (რომელშიც ცვლილება შევიდა სსიპ კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2022 წლის 29 აპრილის N 02-01-147 ბრძანებით) დამტკიცებული „პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკის“ დანართი 4, ქვედანართი თ - „შრომის უსაფრთხოების ნორმები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის: მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სახელოსნოების დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების/ინტერვიუების შდეგები

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის №02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ სრულად აწესრიგებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, მოქნილობის, სიმარტივის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს. პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შეფასების ინსტრუმენტებს ამზადებენ მოდულის განმახორციელებელი პირები, ხოლო შემუშავებულ პროექტს განიხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა ინსტრუმენტის პირველად შემუშავებაში. ამავე წესით მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი შენახვის ვადები, შეფასების გაფორმების წესები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის, ასევე სტუდენტისათვის შედეგების დადასტურებისა და გასაჩივრების პროცედურები. გარდა ამისა, ვიზიტის დროს გაანალიზებულ იქნა სხვა პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული პრაქტიკის გაზიარებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ დაწესებულება ახალი პროგრამის ფარგლებშიც, კანონის შესაბამისად, წარმართავს შეფასების პროცესს, რაც ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის №02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც გამოიყენება შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო ჯგუფის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის პროცესში. ვერიფიკაცია წარმოებს წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემებისა და რისკფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. პროცედურის შედეგად ჯგუფი ადგენს დასკვნას, სადაც აისახება შეფასების ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა, ასევე იდენტიფიცირდება წამოჭრილი პრობლემები. საჭიროების შემთხვევაში, დასკვნის საფუძველზე სასწავლო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირები ადგენენ რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას აქტივობების, ვადების, ინდიკატორებისა და რესურსების მითითებით, რომელთა შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება ეკისრება ხარისხის მართვის მენეჯერს.

ვიზიტის ფარგლებში, ადგილზე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ვალიდაციისა და ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნული წესის, დოკუმენტური მტკიცებულებებისა და ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პერსონალთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ კოლეჯის თანამშრომლებს აქვთ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურების განხორციელების რეალური გამოცდილება და გუნდი მზადაა, ეს აპრობირებული მექანიზმები ანალოგიურად გამოიყენოს ახალი პროგრამის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციისთვისაც.

ინდიკატორი 2.4.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის №02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელიპირი (პსდ) უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს; მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მენეჯერთან, სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ხდება მათი განადგურება სათანადო წესის დაცვით.

ინდიკატორი 2.4.2.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის №02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია და პერსონალთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის მენეჯერი რეგულარულად ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების მონიტორინგს. საჭიროების შემთხვევაში, ისეთ პრობლემურ საკითხებს, როგორიცაა ჯგუფში შედეგების მასობრივი დაუდასტურებლობა ან სწავლის შედეგების მიღწევისთვის არასაკმარისი დრო, მენეჯერი განიხილავს პროფესიული განათლების მასწავლებელთან ან პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, საჭიროებისამებრ ტარდება შესაბამისი ღონისძიებები პროგრამის შემდგომი დახვეწის მიმართულებით. ვიზიტის ფარგლებში, ადგილზე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შესაბამისი კვლევისა და ანალიზის ნიმუშები, რომელთა ანგარიშებიც ითვალისწინებდა მიღებული შედეგების მიხედვით დროულ რეაგირებასა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას. გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტები პერსონალური მიღწევებისა თუ ჩამორჩენის შესახებ უკუკავშირს იღებენ პერსონალური მონაცემების სავალდებულო დაცვის პირობით, ხოლო კოლეჯში არსებული პრაქტიკით, ინდივიდუალური კონსულტაციების ფარგლებში ხდება სტუდენტის მიღწევების განხილვა და მისი შემდგომი განვითარების გზების დასახვა.

ინდიკატორი 2.4.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის №02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.
- სხვა პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები.
- ვალიდაციისა და ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- გასაუბრების/ინტერვიუების შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

.....

.....

.....

12/08/2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: